საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №232

25 მარტი 2013 თბილისი, საქართველო

2013 წლის 25 მარტს 13:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 7 წევრი: ლევან გახელაძე, დავით კანდელაკი, ზაზა კორინთელი, ავთანდილ ანთიძე, ემზარ გოგუაძე, ნატალია დვალი, მამუკა ფაჩუაშვილი. სხდომას არ ესწრებოდნენ: ზურაბ დავითაშვილი, გიორგი მელაძე, ეკა მაზმიშვილი, ბაკურ სულაკაური, ოთარ კობერიძე და ნინო დანელია. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წერილის განხილვა.

2. მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე უძღვებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერილის შინაარსი გააცნო, რომელიც მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლისთვის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრას ეხებოდა, საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული საკითხის შესახებ და მსჯელობის დასრულების შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებისთვის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საკითხი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მეორე საკითხი

სხდომაზე მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ბაქრაძე შემოვიდა, მაუწყებელში მიმდინარე საკითხების შესახებ მსჯელობა, კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად 14:00 საათზე გამოაცხადა, შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობათ.

საბჭოს თავმჯდომარე		ლევან გახელაძე
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი

GEORGIAN
PUBLIC
BROADCASTER
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
GPB.GE

საზოგადოებრივი მაუწყებლის

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან გახელაძეს

ბატონო ლევან

გამომდინარე იმ ფაქტიდან რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეჩერებულია კონკურსი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად რაც შესაბამისად ჩემს მიერ იწვევს გენერალური დირექტორის ფუნქციების შესრულებას საკმაოდ დიდი ვადით გთხოვთ, 25 მარტის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილოთ ჩემთვის სახელფასო დანამატის შემოღების საკითხი.

პატივისცემით

საზოგადოებრივი მაუწყებელი "საზოგადოებრივი მაუწყებელი" * GEORGIAN PUBLIC BROADCASTER * LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
204858163

გ.ბაქრაძე

გენერალური დირექტორის

მოვალეობის დროებით შემსრულებელი

№ 985/01 25 03 2013

მ. ქოსტავას 68, თბილისი, 0171, საქართველო
68 M. Kostava Str., 0171, Tbilisi, Georgia; Tel./Fax: +995 32 2409 115 / 2409 221; E-mail: info@gpb.ge